მონაწილეობითი ბიუჯეტი - 2025 დმანისის მუნიციპალიტეტში

მონაწილეობითი ბიუჯეტი არის პროცესი, რომელიც საზოგადოებას საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში.

2025 წლის მთლიანი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 50,000 ლარი მიიმართება მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამისთვის.

გამოყოფილი თანხის გახარჯვა მოხდება მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი პროექტების დასაფინანსებლად.

პროექტის წარდგენის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია ან/და ფაქტობრივად ცხოვრობს ქალაქ დმანისის ტერიტორიაზე. მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტის ინიციატორის მიერ წარმოდგენილი განცხადების ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს. პროექტის განხორციელება უნდა შედიოდეს დმანისის მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში, ემსახურებოდეს მოსახლეობის კეთილდღეობას და არა კერძო ან ბიზნესის ინტერესებს. პროექტის განხორციელება შესაძლებელი უნდა იყოს 2025 წლის განმავლობაში.

საპროექტო განაცხადები მიიღება 2024 წლის 5 აგვისტოდან 23 აგვისტოს ჩათვლით.

განაცხადის გამოგზავნა შესაძლებელია ელ. ფოსტის მეშვეობით: dmanisi.mun@dmanisi.gov.ge

ან წერილობითი სახით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში, მისამართი: ქ.დმანისი, წმინდა ნინოს ქ.#41

შერჩეული პროექტები დაფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან პროგრამის მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში მოქალაქეთა მიერ პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი თანხებით.

პროექტების შერჩევის საბოლოო გადაწყვეტილება მიიღებენ მოქალაქეები კენჭისყრის მეშვეობით.

<u>დამატებითი ინფორმაცია</u> შეგიძლიათ იხილოთ მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე https://dmanisi.gov.ge
და დმანისის მუნიციპალიტეტის ოფიციალური FB გვერდი
https://www.facebook.com/DmanisiMun?mibextid=ZbWKwL

<u>შეკითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით თქვენი მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესისი კოორდინატორს:</u>

I ზონა- წმ.ნინოს ქუჩიდან ქვედა უბანი - ილიკო გირგვლიანი - მობ: 591 18 18 56

II ზონა-წმ.ნინოს ქუჩიდან ზედა უბანი - მურაზი მურჯიკნელი - მობ: 551 78 90 50

რა არის თვითმმართველობა?

მისი ფუნქციები და მოვალეობები
თვითმართველი ერთეული არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები - მერია და საკრებულო. მას აქვს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილება, საკუთარი ბიუჯეტი და ქონება.

მხოლოდ თვითმართველ ერთეულს გააჩნია ბიუჯეტის მიღების და მასში ცვლილების შეტანის უფლებამოსილება, ჩაიბაროს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები და შეაფასოს მისი აღსრულება.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა - საკრებულო, ნინოწმინდის მუნიციპაკლიტეტის თვითმართველობის აღმასრულებელი ორგანოს უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი. მერი ირჩევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების მიერ, პირდაპირი საყოველთაო არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრით, ოთხი წლის ვადით.

რა არის ადგილობრივი ბიუჯეტი?

მისი ფორმირების და შესრულების პრინციპები
თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი - არის შემოსავლების და სავალდებულო ხარჯების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია თვითმართველობის ფუნქციების და ვალდებულებების შესასრულებლად, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო.

ბიუჯეტის მომზადება და წარდგენა
ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია შესაბამისი ადგილობრივი თვითმართველობის აღმასრულებელი ორგანო, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია.

არაუგვიანეს 15 ნოემბრისა მუნიციპალიტეტის მერი წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს წარმომდგენლობითი ორგანოს - საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც განსახილველად წარუდგენს მას წარმომადგენლობით ორგანოს.

რა არის მონაწილეობითი ბიუჯეტი?
მონაწილეობითი ბიუჯეტი პირდაპირი დემოკრატიის ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელიც მოქალაქეთა მონაწილეობის ყველაზე მაღალ დონეს წარმოადგენს. ეს არის მოსახლეობის ჩართვა ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში ადგიოლობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მათი აქტიური მონაწილეობის მეშვეობით.

ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სფეროა თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის ფორმირება და მისი მეშვეობით მუნიციპალიტეტის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა. ამის საშუალებას იძლევა მონაწილეობითი ბიუჯეტი.

მთელ მსოფლიოში არსებობს მონაწილეობითი ბიუჯეტის სხვადასხვა მოდელი, მაგრამ ყველა მათგანი მიმართულია სახელმწიფო სახსრების განაწილებაში მოსახლეობის ჩართვის გაზრდაზე. ეს შეიძლება იყოს დაწესებულების (სკოლის ან კულტურის ცენტრის), რაიონის, ქალაქის, რეგიონის, მუნიციპალიტეტის, ან, როგორც პორტუგალიაში – მთელი ქვეყნის ბიუჯეტი. მონაწილეობითი ბიუჯეტი გრძელვადიანი და მუდმივი პროცესია, სადაც მოქალაქეები განსაზღვრავენ პრობლემებს, პრიორიტეტებს და გამოვლენილი პრობლემების მოსაგვარებლად წარმოადგენენ საკუთარ პროექტებს. ადგილობრივი მოსახლეობა ირჩევს ამ პროექტებს, ხოლო ახორციელებს ადგილობრივი ხელისუფლება.

თუმცა მონაწილეობითი ბიუჯეტი არ არის მხოლოდ მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი პროექტების განხორციელების „მშრალი" პროცესი. იგი ასევე უნდა იყოს განხილული, როგორც თვითმმართველობის ფუნქციონირების გაუმჯობესების ელემენტი, რომელიც ეფუძნება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ურთიერთგაგებას და თანამშრომლობას

მონაწილეობითი ბიუჯეტის მიზნები და დახასიათება

მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელების მთავარი მიზანია მოსახლეობის ჩართვა ქალაქის, მუნიციპალიტეტის ან რეგიონის მართვის პროცესებში. იგი მოქალაქეებს საშუალებას აძლევს თავად გადაწყვიტონ, თუ როგორ გამოიყენონ და გაანაწილონ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, ასევე ეხმარება თემის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების გამოვლენაში. დისკუსიის პროცესში მოქალაქეები მონაწილეობენ, როგორც „საკუთარი პრობლემების ექსპერტები", აყალიბებენ თავიანთ საჭიროებებს და განიხილავენ თემის პრიორიტეტებს, მისი საერთო კეთილდღეობის თვალსაზრისით. ამრიგად, მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესი ემსახურება საზოგადოების განვითარებას, რადგან ხელს უწყობს:

- საზოგადოების კეთილდღეობას
- ადგილობრივი პრობლემების გადაჭრას
- ფულადი სახსრების სამართლიან განაწილებას
- ურთიერთობების გაუმჯობესებას
- სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ჩართვას
- თემების შექმნას
- ცოდნის ამაღლებას
- მოსახლეობის პასუხისმგებლობის გაზრდას

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცედურები:

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესი მიმდინარეობს 7 თვე - ყოველი წლის ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით და ლოგიკურად იყოფა შემდეგ ეტაპებად:

1) პროცესის მომზადება
2) საინფორმაციო კამპანია

3) პრიორიტეტების გამოვლენა
4) პროექტების შემუშავება და წარდგენა
5) პროექტების ვერიფიკაცია
6) პროექტების შერჩევა
7) ბიუჯეტში ასახვა
8) პროექტების განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

მონაწილეობითი ბიუჯეტი მუშაობს შემდეგი ეტაპების მიხედვით:

1. **პროცესის მომზადება** - მუნიციპალიტეტი იღებს გადაწყვეტილება მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვის შესახებ და აცნობებს ამის შესახებ საზოგადოებას. შემდეგ გამოყოფს თანხას, განსაზღვრავს კომპეტენციის სფეროებს, რომლებშიც მოქალაქეებს შეუძლიათ წარმოადგინონ პროექტები, მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელების დონეს - მთლიანი მუნიციპალიტეტი, მისი ნაწილი ან ქალაქი, და პროცესის ვადებს. აქტიური მოქალაქეებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციების, მრჩეველთა საბჭოსა და საკრებულოს წევრებისაგან მუნიციპალიტეტი ქმნის ჯგუფს, შეიმუშავებს სამოქალაო ბიუჯეტის მიზნებს, რეგულაციებს და საბიუჯეტო პროგრამას.

2.**საინფორმაციო კამპანიები** – იქმნება ვებ გვერდი, გაიკვრება განცხადებები, ტარდება საინფორმაციო შეხვედრები და სხვა. საინფორმაციო შეხვედრებზე ხდება მოსახლეობის გამოკითხვა, რომლებზეც ვლინდება ძირითადი პრობლემები და პრიორიტეტები. ამის შემდეგ ძირითადი პრობლემებისა და პრიორიტეტების შესახებ ინფორმაციას ღებულობს ფართო საზოგადოება.

3. პროექტის შემუშავება და წარდგენა - მუნიციპალიტეტის მიერ მკაფიოდ არის განსაზღვრული განაცხადების წარდგენის სისტემა და ვადები. პროექტის წარდგენის უფლება აქვს ქმედუნარიან სრულწლოვან მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია ან/და ფაქტობრივად ცხოვრობს მუნიციპალიტეტში. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მოსახლეობის დისკუსიის წარმართვას. ის, აგრეთვე, ეხმარება მოქალაქეებს და უზრუნველყოფს კონსულტაციებით. წარმოდგენილი განაცხადების აღრიცხვას აწარმოებს კოორდინატორი. სია გამოქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე და სხვა შესაძლო საინფორმაციო არხების მეშვეობით (სოციალური ქსელები, მასმედია).

4. ვერიფიკაცია - პროექტების ვერიფიკაცია ხორციელდება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურების სპეციალისტებისა და საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული სპეციალისტების ჩართულობით, და იმ პროგრამების გათვალისწინებით, რომლებიც მუნიციპალიტეტში უკვე არსებობს. წარმოდგენილი განაცხადი მხოლოდ ვერიფიცირდება (და არ ფასდება) ამ სამსახურების მიერ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

● სამართლებრივი ასპექტები (უფლებამოსილია თუ არა მუნიციპალიტეტი განახორციელოს წარმოდგენილი პროექტი);

● ტექნიკური ასპექტები (რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება);

● ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი პროექტის სავარაუდო ღირებულების შეფასება);

● პროექტის განხორციელების ვადები. ვერიფიკაციის შემდეგ დგება და გამოქვეყნდება იმ პროექტების სია, რომლებმაც გაიარეს ვერიფიკაცია. ასევე იმათი, რომელთა განხორციელება ვერ მოხერხდება - მიზეზების დასაბუთებით და ინფორმაცია მიეწოდება ავტორებს.

5. გამარჯვებული პროექტების გამოვლენა ხმის მიცემით - მოქალაქეები განსახორციელებელ პროექტებს ირჩევენ კენჭისყრის/კონსენსუსის გზით ყველა იმ პროექტებს შორის, რომლებმაც გაიარეს ვერიფიკაცია. პროექტის შერჩევის პროცედურა უნდა იყოს გამჭვირვალე, მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი და მკაფიოდ გაწერილი რეგულაციებში. შერჩევამდე მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ინფორმირებას და დახმარებას გაუწევს მოსახლეობასთან ერთად პროექტების განხილვის ორგანიზებაში. პროექტების ავტორები თავად უწევენ რეკლამას საკუთარ პროექტებს. პროექტის შერჩევის შედეგები ეცნობება ფართო საზოგადოებას.

6. ბიუჯეტში ასახვა - ყველა არჩეული პროექტებისთვის საჭირო თანხები აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და ხორციელდება რეგულაციებით განსაზღვრულ ვადაში. შეიძლება განისაზღვროს თანხა ერთი პროექტისთვის ან შეიზღუდოს ერთი მოქალაქის მიერ წარმოდგენილი პროექტების რაოდენობა ანუ განსაზღვრული თანხის ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს როგორც ერთი მსხვილი პროექტი, ასევე რამდენიმე მცირე პროექტი.

7. პროექტის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება - პროექტებში ცვლილებების შეტანის საჭიროება თანხმდება მათ ავტორებთან. ინფორმაცია შერჩეული პროექტების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ განთავსდება საინფორმაციო სტენდზე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, მუდმივად გაშუქდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გავრცელდება სხვა შესაძლო საინფორმაციო არხების მეშვეობით (სოციალური ქსელები, მასმედია). ინფორმაცია ასევე მიეწოდება **კოორდინატორებს**, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ინფორმირებას პროექტის მიმდინარეობისა და მისი შედეგების შესახებ. მონიტორინგს ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულო, მრჩეველთა საბჭო, მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭო და უფლებამოსილი სამუშაო ორგანო უფლებამოსილების შესაბამისად. საზოგადოების მხრიდან მონიტორინგს ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის აქტიური მოქალაქეები.

მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულო, მრჩეველთა საბჭო, მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭო და უფლებამოსილი სამუშაო ორგანო, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებს მონაწილეობითი ბიუჯეტის ეფექტურობის შეფასებას, რაც ითვალისწინებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების მონიტორინგს, ანალიზს და კონტროლს.
ეფექტურობის შეფასება ხორციელდება შედეგობრივი მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე, ასევე სხვა ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც შეიცავს საბიუჯეტო მოთხოვნები, ხარჯთაღრიცხვები და ხარჯთაღრიცხვების შესახებ ანგარიშები.

მონაწილეობითი ბიუჯეტის განსახორციელებლად საჭიროა პროექტის განხორციელებაში ადგილობრივი თვითმმართველობის მზაობა. უნდა იყოს ნება ბიუჯეტიდან გარკვეული თანხის გამოყოფის, რომლის განკარგვაც შეეძლება ადგილობრივ მოსახლეობას.

თანამდებობის პირების ჩართულობა საბოლოო გადაწყვეტილებაზე გავლენას არ ახდენს, რადგან მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელებისას პროექტის შერჩევის სხვადასხვა სახე არსებობს. ყველა ეს შემთხვევა დაზღვეულია ზედმეტი ჩარევებისგან და მაქსიმალურად გამოხატავს მოსახლეობის აზრს.

მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელების მთავარი ელემენტი მოქალაქეების სურვილებზე დაყრდნობით დაგეგმილი პროექტების განხორციელებაა, შესაბამისად საბოლოო გადაწყვეტილება მოქალაქეთა საკეთილდღეოდ მიიღება.

ფულადი სახსრების გამოყოფა ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. მონაწილეობითი ბიუჯეტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ უკვე წინასწარ განსაზღვრულ თანხაზე ხდება პროექტის მორგება.

არის შემთხვევები, როდესაც მუნიციპალიტეტში რამდენიმე ტერიტორიული ერთეულის, ე.წ. ზონის, გაერთიანებას აქვს ადგილი. ამ შეერთებით ჯამდება ორივე ზონის ბიუჯეტი და ის იზრდება. შესაბამისად, ეს დიდი პროექტების განხორციელებას უწყობს ხელს.

პროექტები აისახება მომდევნო კალენდარული წლის ბიუჯეტში და ხორციელდება ამავე წელს.

მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელებისთვის შეიძლება აუცილებელი გახდეს დამატებითი რესურსი, როგორიცაა საინფორმაციო მასალების დამზადება-გავრცელება, მოხალისეების ჩართულობა და სხვ.

მონაწილეობითი ბიუჯეტი მოქალაქეების ჩართულობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მოსახლეობის ჩართულობა კი სრულიად კანონიერია. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი შეიცავს სპეციალურ ნაწილს ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკაზე. მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელების პროცესში მზადდება სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრავს მის სამართლებრივ მოქმედებებს მიმდინარეობის პროცესში. მონაწილეობითი ბიუჯეტის განსახორციელებლად თვითმმართველობის მხრიდან გამოყოფილი თანხა არ არის შეზღუდული - შესაძლებებლია, როგორც მცირე პროექტებზე მორგება, ისე მსხვილი პროექტების განხორციელებაც. საქართველოში, იმ მუნიციპალიტეტებში, რომელშიც უკვე ხორციელდება მონაწილეობითი ბიუჯეტი, სხვადასხვა პრაქტიკაა.

მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელება შესაძლებელია ნებისმიერ მუნიციპალიტეტში, სადაც მოსახლეობა დაინტერესებულია ჩაერთოს ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესში.

პუბლიკაციის მომზადების დროს გამოყენებული იყო მასალები https://participatoryhub.ge/

ეს პუბლიკაცია შექმნილია პროექტის „მონაწილეობითი საზოგადოების გაძლიერება სოციალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბარი და სრულყოფილი მონაწილეობისთვის“ ფარგლებში, რომელიცმის მხარდაჭერილი ევროკავშირის მიერ. შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია HEKS\EPER Georgia და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.